ონლაინ კაბინეტით სარგებლობისა და ვალუტის გაცვლის ოპერაციების
წესები და პირობები (ხელშეკრულება)

წინამდებარე წესები და პირობები წარმოადგენს შეთანხმებას (შემდგომში „წესები და პირობები“ ან „ხელშეკრულება“) ერთი მხრივ კლიენტსა და მეორე მხრივ ქვემოთ მითითებულ მისოს შორის, ონლაინ კაბინეტით სარგებლობისა და და ვალუტის გაცვლის ოპერაციების წარმოების შესახებ.

სახელწოდება:	**სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ (შემდგომში მისო)**
იურიდიული მისამართი:	**ქ. თბილისი, ქეთევან დედოფლის გამზირი, N68, სართული N1, საოფისე ფართი N2**
წარმომადგენელი:	
ტელეფონი:	**032 2-50-50-02**
ელ.ფოსტა:	**fx@mbc.com.ge**
საიდენტიფიკაციო კოდი:	**404967078**
საზედამხედველო ორგანოს დასახელება და მისამართი:	**საქართველოს ეროვნული ბანკი 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა №2**
ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის ნომერი:	**740413**

კლიენტი და მისო ცალ-ცალკე მოიხსენიებიან როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად - ”მხარეები”.

1. ზოგადი დებულებები

1.1. ვებ-გვერდის www.fx.mbc.com.ge გამოყენება რეგულირდება მისოს მიერ დადგენილი წესებითა და პირობებით.

1.2. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ წინამდებარე წესებსა და პირობებს, რომელიც არეგულირებს თქვენ მიერ, 1.1. პუნქტში მითითებული ვებ-გვერდის გამოყენების წესებსა და პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით წინამდებარე წესებსა და პირობებს, გთხოვთ, დატოვოთ მისოს ვებ-გვერდი.

1.3. იმ შემთხვევაში, თუ ვებ-გვერდზე წვდომა შეუძლებელი გახდა მისოს ტექნიკური შეფერხების ან მისოსგან დამოუკიდებელი სხვა ნებისმიერი მიზეზით, მისო არ არის პასუხისმგებელი დამდგარ შედეგზე.

1.4. ვებ-გვერდის გამოყენებით, თქვენ ადასტურებთ და სრულად ეთანხმებით მითითებულ ყველა წესსა და პირობას.

1.5. წინამდებარე წესები და პირობები ამავდროულად წარმოადგენს კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებას.

2. პროდუქტთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები

2.1. კლიენტის ფინანსურ ხარჯს შესაძლებელია წარმოადგენდეს მხოლოდ კლიენტის მიერ თანხის გადმორიცხვის შემთხვევაში, მისი მომსახურე ბანკის მიერ დაწესებული გადარიცხვის საკომისიო ან მსგავსი შინაარსის საფასური, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ბანკის მიერ ან/და ბანკის და კლიენტის შეთანხმებით.

2.2. მისოს მიერ თანხის გადარიცხვის შემთხვევაში, პროდუქტი არ არის დაკავშირებული კლიენტის რაიმე სახის ფინანსურ ხარჯებთან, რადგან ნებისმიერი სახის საკომისიოს და მსგავსი შინაარსის საფასურის გადახდას უზრუნველყოფს მისო.

3. ტერმინთა განმარტება

3.1. **ონლაინ კაბინეტი** - ვირტუალური პერსონალური სივრცე, რომლის მეშვეობით, კლიენტი უფლებამოსილია დისტანციურად, წინამდებარე წესებისა და პირობების შესაბამისად, მისცეს მისოს დავალება (გააგზავნოს კონვერტაციის განაცხადი) უნაღდო კონვერტაციაზე და მოითხოვოს ოპერაციის განხორციელება. ონლაინ კაბინეტში რეგისტრაცია შესაძლებელია მისოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან www.fx.mbc.com.ge.

3.2. **კლიენტი** - ონლაინ კაბინეტით მოსარგებლე რეზიდენტი, აგრეთვე არარეზიდენტი (საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ფიზიკური პირი, რომელსაც გააჩნია საქართველოს სახელმწიფოს მიერ გაცემული ბინადრობის მოწმობა) ფიზიკური და რეზიდენტი იურიდიული პირი.

3.3. **ონლაინ კაბინეტით სარგებლობისა და ვალუტის გაცვლის ოპერაციების წარმოების წესები და პირობები** - ონლაინ კაბინეტის ფარგლებში, კლიენტთან შეთანხმებული წინამდებარე წესები და პირობები, ვალუტის გაცვლითი მომსახურების (ოპერაციების) შესახებ, რომელიც განსაზღვრავს უნაღდო კონვერტაციით სარგებლობის პირობებს.

3.4. **ვალუტის გაცვლითი ოპერაცია** (შემდგომში „კონვერტაცია“) - ვალუტის ყიდვა ან გაყიდვა სხვა ვალუტის სანაცვლოდ.

3.5. **უნაღდო კონვერტაცია** - უნაღდო ანგარიშსწორების გზით (გადარიცხვით) შესრულებული ვალუტის გაცვლითი ოპერაცია, რომელიც ხორციელდება მისოს პარტნიორი ბანკების საბანკო ანგარიშების გავლით.

3.6. **კონვერტაციის განაცხადი** - უნაღდო კონვერტაციის ოპერაციის განხორციელებასთან დაკავშირებით, კლიენტის მიმართვა მისოსადმი, წინამდებარე წესებითა და პირობებით დადგენილი ფორმით.

4. კლიენტის მიერ ონლაინ კაბინეტის რეგისტრაციის პროცესი

4.1. კლიენტი, მისოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.fx.mbc.com.ge გადის ონლაინ კაბინეტის რეგისტრაციას, რომლის შემდგომ ეხსნება პირადი ონლაინ კაბინეტი და ხდება ავტორიზებული მომხმარებელი (შემდგომში „მომხმარებელი“).

4.2. რეგისტრაციის დაწყების დროს კლიენტი ირჩევს ტიპს: **ფიზიკური პირი** ან **იურიდიული პირი**.

4.3. ფიზიკური პირის რეგისტრაციისთვის აუცილებელია შემდეგი მონაცემების მითითება:

4.3.1. სახელი და გვარი;

4.3.2. ელ.ფოსტის მისამართი;

4.3.3. მობილური ტელეფონის ნომერი;

4.3.4. პაროლი, რომელსაც კლიენტი გამოიყენებს პირად ონლაინ კაბინეტში შესასვლელად (გათვალისწინებულია რთული პაროლის პოლიტიკა: სიმბოლოების რაოდენობა არ უნდა იყოს 8 სიმბოლოზე ნაკლები და აუცილებელად უნდა შეიცავდეს მინიმუმ ერთი მაღალი რეგისტრის სიმბოლოს).

4.4. იურიდიული პირის რეგისტრაციისთვის (რეგისტრაციას ასრულებს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი ფიზიკური პირი) აუცილებელია შემდეგი მონაცემების მითითება:

4.4.1. კომპანიის დასახელება;

4.4.2. საიდენტიფიკაციო კოდი;

4.4.3. წარმომადგენელი ფიზიკური პირის სახელი და გვარი;

4.4.4. ელ.ფოსტა (იურიდიული პირის ელ.ფოსტის მისამართი);

4.4.5. მობილური ტელეფონის ნომერი;

4.4.6. პაროლი, რომელსაც კლიენტი გამოიყენებს პირად ონლაინ კაბინეტში შესასვლელად (გათვალისწინებულია რთული პაროლის პოლიტიკა: სიმბოლოების რაოდენობა არ უნდა იყოს 8 სიმბოლოზე ნაკლები და აუცილებელად უნდა შეიცავდეს მინიმუმ ერთი მაღალი რეგისტრის სიმბოლოს).

4.5. მონაცემების მითითების შემდეგ, კლიენტი ეთანხმება ვებ-გვერდზე რეგისტრაციას და ონლაინ კაბინეტის გახსნას. კლიენტი, მონაცემების დადატურებით, გადადის შემდეგ ეტაპზე. მას, ელ. ფოსტის ვერიფიკაციის მიზნით, ეგზავნება ავტომატური შეტყობინება, რომელიც შეიცავს ავტორიზაციის გვერდზე გადასასვლელ ბმულს. მხოლოდ ელ. ფოსტის მისამართზე მიღებული ბმულიდან არის შესაძლებელი ონლაინ კაბინეტის რეგისტრაციის პროცესის გაგრძელება. ავტორიზაცია ხორციელდება რეგისტრაციის დასაწყისში მითითებული ელ. ფოსტის მისამართითა და პაროლით. ავტორიზაციის გავლის შემდეგ, იხსნება პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ გვერდი, შესაბამისი ტექსტით. კლიენტი ეთანხმება აღნიშნულ ტექსტს, რის შემდეგაც კლიენტი გადადის დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესზე. დისტანციური იდენტიფიკაციის წარმატებით გავლის შემდეგ კლიენტი ავსებს KYC კითხვარს.

5. KYC კითხვარი

5.1. ფიზიკური პირი KYC კითხვარში უთითებს შემდეგ ინფორმაციას:

5.1.1. **მომხმარებლის ზოგადი ინფორმაცია:**

5.1.1.1. **ფლობთ თუ არა ორმაგ მოქალაქეობას?** - პასუხის არჩევა ხდება ჩამოსაშლელი სიიდან („**დიახ**“ ან „**არა**“). დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, კლიენტი უთითებს ორმაგი მოქალაქეობის ქვეყანას;

5.1.1.2. **ხართ თუ არა პოლიტიკურად აქტიური პირი ან მასთან დაკავშირებული პირი?** - პასუხის არჩევა ხდება ჩამოსაშლელი სიიდან („**დიახ**“ ან „**არა**“). დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, კლიენტი უთითებს დაკავშირებული პოლიტიკურად აქტიური პირის, სახელს, გვარს, თანამდებობას და მოღვაწეობის ქვეყანას, ხოლო დაკავშირებული პირის შემთხვევაში - კავშირის ტიპს.

5.1.1.3. **ფაქტობრივი მისამართი.**

5.1.2. **კლიენტის პროფილი:**

5.1.2.1. **საქმიანობის სფერო/დაკავებული თანამდებობა -** კლიენტი უთითებს მისი საქმიანობის სფეროს და დაკავებული თანამდებობის შესახებ დეტალურ ინფორმაციას;

5.1.2.2. **შემოსავლის/ფულადი სახსრების წარმოშობის წყარო** - პასუხის არჩევა ხდება ჩამოსაშლელი სიიდან. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი მონიშნავს „**სხვას**“, ვალდებულია, მიუთითოს დეტალური ინფორმაცია შემოსავლის/ფულადი სახსრების წარმოშობის წყაროს შესახებ;

5.1.2.3. **ყოველთვიური მაქსიმალური შემოსავლის ოდენობა (ეროვნული ვალუტის ექვივალენტი)** -კლიენტი უთითებს შესაბამის თანხას;

5.1.2.4. **ფლობთ თუ არა ანგარიშებს სებ-ის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ბანკში** - პასუხის არჩევა ხდება ჩამოსაშლელი სიიდან („**დიახ**“ ან „**არა**“).

5.1.3. **ინფორმაცია საქმიანი ურთიერთობის მიზნისა და განზრახული ხასიათის შესახებ:**

5.1.3.1. **რა არის კონკრეტული პროდუქტით სარგებლობის მიზანი?** - კლიენტი ვალდებულია მიუთითოს, თუ რა მიზნით სურს ვალუტის კონვერტაცია. პასუხის არჩევა ხდება ჩამოსაშლელი სიიდან. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი მონიშნავს „**სხვას**“, ვალდებულია, მიუთითოს დეტალური ინფორმაცია;

5.1.3.2. **მოსალოდნელი ოპერაციების თვიური სიხშირე** - პასუხის არჩევა ხდება ჩამოსაშლელი სიიდან;

5.1.3.3. **მოსალოდნელი ოპერაციების თვიური ბრუნვა** - ეთითება კლიენტის მიერ თვის განმავლობაში მოსალოდნელი გარიგებების/ოპერაციების ჯამური თანხა (ეროვნული ვალუტის ექვივალენტი). პასუხის ჩაწერა ხდება კლიენტის მიერ;

5.1.3.4. **მოსალოდნელი გარიგებების/ოპერაციების ვალუტა** - პასუხის არჩევა ხდება ჩამოსაშლელი სიიდან;

5.1.3.5. **სხვის სასარგებლოდ ხომ არ ამყარებთ საქმიან ურთიერთობას?** - პასუხის არჩევა ხდება ჩამოსაშლელი სიიდან: („**დიახ**“ ან „**არა**“). დადებითი პასუხის მონიშვნის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია, მიუთითოს შესაბამისი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები. ფიზიკური პირის შემთხვევაში - ფიზიკური პირის სახელი, გვარი და პირადი ნომერი; იურიდიული პირის შემთხვევაში - იურიდიული პირის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი.

5.2. იურიდიული პირი KYC კითხვარში უთითებს შემდეგ ინფორმაციას:

5.2.1. **კლიენტის პროფილი:**

5.2.1.1. **საქმიანობის სფერო** - კლიენტი უთითებს საქმიანობის სფეროს;

5.2.1.2. **ორგანიზაციის ძირითადი ოპერირების არეალი და სხვა ქვეყნების ჩამონათვალი, სადაც ახორციელებს საქმიანობას**;

5.2.1.3. **შემოსავლის/ფულადი სახსრების წარმოშობის წყარო** - პასუხის არჩევა ხდება ჩამოსაშლელი სიიდან. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი მონიშნავს „**სხვას**“, ვალდებულია, მიუთითოს დეტალური ინფორმაცია შემოსავლის/ფულადი სახსრების წარმოშობის წყაროს შესახებ;

5.2.1.4. **ყოველთვიური შემოსავლის მაქსიმალური ოდენობა (ეროვნული ვალუტის ექვივალენტი)** -კლიენტი უთითებს შესაბამის თანხას;

5.2.1.5. **ფლობთ თუ არა ანგარიშებს სებ-ის ზედამხედველობას დაქვემდებარებულ ბანკში?** - პასუხის არჩევა ხდება ჩამოსაშლელი სიიდან („**დიახ**“ ან „**არა**“);

5.2.1.6. **ხართ თუ არა წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, ბენ. მესაკუთრე/ მაკონტროლებელი პირი პოლიტიკურად აქტიური პირი ან მასთან დაკავშირებული პირი?** - დადებითი პასუხის შემთხვევაში, კლიენტი უთითებს დაკავშირებული პოლიტიკურად აქტიური პირის სახელს, გვარს, თანამდებობას და მოღვაწეობის ქვეყანას, ხოლო დაკავშირებული პირის შემთხვევაში - კავშირის ტიპს.

5.2.2. **ინფორმაცია საქმიანი ურთიერთობის მიზნისა და განზრახული ხასიათის შესახებ**:

5.2.2.1. **რა არის კონკრეტული პროდუქტით სარგებლობის მიზანი?** - კლიენტი ვალდებულია, მიუთითოს, თუ რა მიზნით სურს ვალუტის კონვერტაცია. პასუხის არჩევა ხდება ჩამოსაშლელი სიიდან. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი მონიშნავს „**სხვას**“, ვალდებულია, მიუთითოს დეტალური ინფორმაცია;

5.2.2.2. **მოსალოდნელი ოპერაციების თვიური ბრუნვა** - ეთითება კლიენტის მიერ თვის განმავლობაში მოსალოდნელი გარიგებების/ოპერაციების ჯამური თანხა(ეროვნული ვალუტის ექვივალენტი). პასუხის ჩაწერა ხდება კლიენტის მიერ;

5.2.2.3. **მოსალოდნელი გარიგებების/ოპერაციების თვიური სიხშირე:** პასუხის არჩევა ხდება ჩამოსაშლელი სიიდან;

5.2.2.4. **მოსალოდნელი გარიგებების/ოპერაციების ვალუტა:** პასუხის არჩევა ხდება ჩამოსაშლელი სიიდან.

5.3. KYC კითხვარი მოიცავს სავალდებულოდ და არასავალდებულოდ შესავსებ ველებს. თუ სავალდებულოდ შესავსები ველი ცარიელი დარჩა, კითხვარი არ გაიგზავნება და აღნიშნული ველი ინიშნება წითლად.

6. დოკუმენტების ატვირთვა

6.1. KYC კითხვარის შევსების შემდეგ, ონლაინ კაბინეტის რეგისტრაციის შემდეგ ეტაპს წარმოადგენს დოკუმენტების ატვირთვა. იმ შემთხვევაში, თუ იურიდიულ პირს ჰყავს ერთზე მეტი ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ან/და ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირისგან განსხვავებული ბენეფიციარი მესაკუთრე/მესაკუთრეები (ფიზიკური პირები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ფლობენ კომპანიის 25%-ს ან მეტს) კლიენტი ვალდებულია ატვირთოს ამ პირ(ებ)ის საიდენტიფიკაციო დოკუმენტები. თუ მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების

რეესტრში არ არის ატვირთული უახლესი წესდება, კლიენტი ვალდებულია ატვირთოს წესდებაც. სხვა შემთხვევაში, გამოტოვებს დოკუმენტაციის ატვირთვის ეტაპს და აგზავნის მხოლოდ KYC კითხვარს.

6.2. შევსებული კითხვარი და ატვირთული დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ეგზავნება მისოს:

6.2.1. მისოს მიერ, KYC კითხვარისა და დოკუმენტაციის (არსებობის შემთხვევაში) სისწორის დადასტურების შემთხვევაში, კლიენტს, ელ.ფოსტის მისამართზე, მისდის ავტომატური შეტყობინება, კითხვარის დადასტურებასა და შეტყობინებაში მითითებულ ბმულზე გადასვლასთან დაკავშირებით. ბმულზე გადასვლის შემდეგ იხსნება წესები და პირობები, რომელსაც კლიენტი უნდა გაეცნოს და მონიშვნით დაეთანხმოს. დათანმებით სრულდება ონლაინ კაბინეტის რეგისტაციისა და სრული აქტივაციის პროცესი;

6.2.2. თუ კითხვარი ან/და ატვირთული დოკუმენტაცია არასრულყოფილია, კლიენტს, ელ. ფოსტის მისამართზე, მისდის ავტომატური შეტყობინება, რომ კითხვარი არასრულყოფილია და მისოს წარმომადგენლის მხრიდან უმოკლეს ვადაში მოხდება მასთან დაკავშირება. ზემოაღნიშნულ შეტყობინებაში ასევე, მითითებულია ონლაინ კაბინეტით სარგებლობის წესებსა და პირობებზე გადასასვლელი ბმული. ბმულზე გადასვლის შემდეგ იხსნება წინამდებარე წესები და პირობები, რომელსაც კლიენტი უნდა გაეცნოს და მონიშვნით დაეთანხმოს. დათანმებით სრულდება ონლაინ კაბინეტის რეგისტრაციის პროცესი, მაგრამ არ არის აქტიური ონლაინ კაბინეტში კონვერტაციის განაცხადის შევსება და გაგზავნა. მისოს წარმომადგენელი უმოკლეს ვადაში უკავშირდება კლიენტს და აწვდის ინფორმაციას კითხვარში ჩასასწორებელი მონაცემ(ებ)ის/ასატვირთი დოკუმენტ(ებ)ის შესახებ. კლიენტის მიერ კაბინეტიდან დაკორექტირებული კითხვარის და/ან საჭირო დოკუმენტების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ატვირთვის შემდეგ, მისოს მიერ ხდება დაკორექტირებული ინფორმაციის შემოწმება და სისწორის დადასტურების შემთხვევაში, კლიენტს ელ. ფოსტის მისამართზე მისდის ავტომატური შეტყობინება, კითხვარის დადასტურებასთან დაკავშირებით. შეტყობინებაში ასევე, მითითებულია ონლაინ კაბინეტზე გადასასვლელი ბმული.

6.2.3. მისოს მიერ კითხვარის და დოკუმენტების გაანალიზების შედეგად, შესაძლოა კლიენტს უარი ეთქვას მომსახურების მიღებაზე. ასეთ შემთხვევაში, კლიენტს, ელ. ფოსტის მისამართზე მისდის ავტომატური შეტყობინება, შევსებული კითხვარის უარყოფასთან დაკავშირებით. კლიენტი ვერ აგრძელებს ონლაინ კაბინეტის რეგისტაციის პროცესს და შესაბამისად, ვერ უზრუნველყოფს კონვერტაციის განაცხადის გამოგზავნას.

6.3. იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი დაიბლოკა ონლაინ კაბინეტში შესვლის მცდელობისას პაროლის არასწორად შეყვანის გამო (მაქსიმუმ 3 მცდელობა), 5 წუთის გასვლის შემდგომ ავტომატურად ხდება მისი განბლოკვა. პაროლის აღდგენა შესაძლებელია, ასევე, ონლაინ კაბინეტის ავტორიზაციის გვერდიდან. კლიენტი უთითებს რეგისტრაციის დროს მითითებულ ელ. ფოსტას და აღნიშნულ ელ. ფოსტის მისამართზე ავტომატურად ეგზავნება პაროლის აღდგენის პროცედურა.

7. კონვერტაციის განაცხადის შევსება

7.1. ონლაინ კაბინეტის რეგისტრაციის პროცესის წარმატებით დასრულების/ავტორიზაციის შემდგომ, კლიენტი გადადის პირად გვერდზე, სადაც კლიენტისათვის ხელმისაწვდომია შემდეგი სახის ინფორმაცია:

7.1.1. განაცხადი (კონვერტაციის განაცხადი);

7.1.2. ამონაწერი - სასურველი პერიოდის არჩევის შესაბამისად, კლიენტის მიერ მისოსთვის გაგზავნილი კონვერტაციების განაცხადების ჩამონათვალი, შემდეგი ინფომაციით: განაცხადის თარიღი, კურსი, გასაყიდი თანხა და ვალუტა, საყიდელი თანხა და ვალუტა, განაცხადის სტატუსი;

7.1.3. საბუთები - ონლაინ კაბინეტით სარგებლობის წესები და პირობები (რომელსაც დაეთანხმა), შევსებული კითხვარი და ატვირთული დოკუმენტები (იურ. პირის შემთხვევაში);

7.1.4. კითხვა-პასუხი (მოიცავს ონლაინ კაბინეტის მომსახურებასთან დაკავშირებულ კითხვებს და პასუხებს);

7.1.5. მისოს საბანკო რეკვიზიტები შესაბამის ვალუტებში (უნაღდო კონვერტაციების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ ონლაინ კაბინეტში ხელმისაწვდომი რეკვიზიტების შესაბამის ვალუტებში);

7.1.6. მისოს და ეროვნული ბანკის ვალუტის გაცვლითი კურსები;

7.1.7. კონვერტაციის დაანგარიშება (ვალუტის გაცვლის კალკულატორი);

7.1.8. ონლაინ ჩათი.

7.2. პირად გვერდზე, ასევე, მოცემულია კლიენტის პირადი მონაცემები (სტატუსი: ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი; სახელი გვარი/დასახელება; ტელეფონის ნომერი; ელ.ფოსტა; იურიდიული პირის შემთხვევაში - საიდენტიფიკაციო კოდი) და პაროლის შეცვლის შესაძლებლობა.

7.3. უნაღდო კონვერტაციის ყოველ ოპერაციაზე კლიენტი ონლაინ კაბინეტში ავსებს კონვერტაციის განაცხადს და უგზავნის მისოს დავალებას.

7.4. კონვერტაციის განაცხადში კლიენტი უთითებს:

7.4.1. დასაკონვერტირებელი თანხის ოდენობას;

7.4.2. დასაკონვერტირებელი და მისაღები თანხის ვალუტას (მისაღები/საყიდელი თანხის ოდენობა ივსება ავტომატურად);

7.4.3. ბანკის დასახელებას/დასახელებებს, რომლის გავლითაც უნდა შესრულდეს ოპერაცია და ანგარიშის რეკვიზიტებს (საიდანაც გადმორიცხავს კლიენტი თანხას და სადაც გადაირიცხება დაკონვერტირებული თანხა). საბანკო რეკვიზიტების სწორად შევსებაზე პასუხისმგებელია თავად კლიენტი.

7.5. საბანკო ანგარიშის ნომერი, რომელიც გამოიყენება ანგარიშსწორებისთვის, სავალდებულოა ეკუთვნოდეს თავად კლიენტს.

7.6. კონვერტაცია სრულდება კონვერტაციის განაცხადის მიღების დროს დაფიქსირებული გაცვლითი კურსით, რომელიც ავტომატურად ეთითება განაცხადის შევსებისას.

8. კონვერტაციის განაცხადის სტატუსები

8.1. წარმატებით დარეგისტრირებული ონლაინ კონვერტაციის განაცხადი ავტომატურად ეგზავნება მისოს.

8.1.1. პირველ ეტაპზე, განაცხადს ენიჭება სტატუსი **„მოლოდინშია“;**

8.1.2. იმ შემთხვევაში, თუ მისოს შეუძლია მიღებული კონვერტაციის განაცხადის (დავალების) შესრულება, განაცხადს ეცვლება სტატუსი და ენიჭება სტატუსი **„დადასტურებულია“**;

8.1.3. იმ შემთხვევაში, თუ მისოს არ შეუძლია მიღებული კონვერტაციის განაცხადის (დავალების) შესრულება, განაცხადს ეცვლება სტატუსი და ენიჭება სტატუსი **„უარყოფილია“.**

8.2. კონვერტაციის განაცხადის დადასტურებიდან 30 წუთის განმავლობაში, კლიენტმა უნდა უზრუნველყოს მისოს საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვა.

8.3. თუ 30 წუთის გასვლის შემდგომ, მისოს საბანკო ანგარიშზე არ განხორციელდა თანხის გადარიცხვა და ასახვა, მისო უფლებამოსილია არ შეასრულოს კონვერტაცია. ამ შემთხვევაში, დადასტურებულ განაცხადზე იცვლება სტატუსი და ენიჭება სტატუსი **„უარყოფილია“,** ხოლო კლიენტი კონვერტაციის სურვილის შემთხვევაში, უზრუნველყოფს ახალი განაცხადის შევსებას და გაგზავნას.

8.4. მისოს საბანკო ანგარიშზე კლიენტის მიერ თანხის ჩარიცხვის შემდგომ, კლიენტს, განაცხადში მითითებულ საბანკო ანგარიშზე, ერიცხება შეძენილი ვალუტა თანხის მისოს ანგარიშზე ასახვიდან 1 (ერთი) საათის განმავლობაში. მისოს მხრიდან თანხის გადარიცხვის დაგვიანების შემთხვევაში, მისოს წარმომადგენელი უკავშირდება კლიენტს და ატყობინებს ჩარიცხვის სავარაუდო დროს.

8.5. არასამუშაო საათებში მიღებული განაცხადები განიხილება და დამუშავდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

9.1. მისოს მიერ, წინამდებარე წესებსა და პირობებში შეტანილი ცვლილება, რომელიც არ ცვლის ან/და არ აუარესებს კლიენტის მდგომარეობას, აისახება ონლაინ კაბინეტში და კლიენტს ეცნობება ელ. ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნის გზით.

9.2. მისო უფლებამოსილია შეცვალოს ამ ხელშეკრულებით დადგენილი საკომისიოების ოდენობა ან/და დაუწესოს კლიენტს სხვა ტიპის საკომისიო, ასევე შეცვალოს პროცესი და პირობები, თუ შეიცვალა მარეგულირებელი, ზედამხედველი, მარეგისტრირებელი, საგადასახადო და სხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან დადგენილი წესები, ან მისოს საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პარტნიორებისა და კონტრაგენტების (ბანკები, ფინანსური ინსტიტუტები, საგადახდო სისტემების სუბიექტები და სხვა) მხრიდან დაწესებული კომერციული პირობები. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, მისო, წერილობით ატყობინებს კლიენტს ელ. ფოსტის მისამართზე. კლიენტი უფლებამოსილია, შეტყობინების მიღებიდან ორი თვის ვადაში უარი განაცხადოს შეცვლილ პირობებზე და შეწყვიტოს ხელშეკრულება. თუ კლიენტი არ გამოიყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას, ამ პუნქტის შესაბამისად შეცვლილი პირობები ამოქმედდება კლიენტისთვის ზემოაღნიშნული შეტყობინების ჩაბარებიდან ორი თვის გასვლის შემდგომ.

10. ხელშეკრულების ვადა, შეწყვეტა და პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულება დადებულია განუსაზღვრელი ვადით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

10.2.1. მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით;

10.2.2. ერთ-ერთი მხარის მიერ, მეორე მხარისთვის 1 თვით ადრე, ელ. ფოსტის მისამართზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით;

10.2.3. თუ რომელიმე მხარე არსებითად არღვევს მის პირობებს.

10.3. მხარე, რომელიც არსებითად დაარღვევს თავის ვალდებულებებს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში, აუნაზღაურებს მეორე მხარეს ზიანს, რომელიც მას მიადგა ხელშეკრულების არსებითი პირობების დარღვევის შედეგად.

10.4. ნებისმიერი საფუძვლით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მისო უზრუნველყოფს კლიენტის ონლაინ კაბინეტის დეაქტივაციას.

10.4.1. ხელშეკრულების შეწყვეტის და მისოს მხრიდან ონლაინ კაბინეტის დეაქტივაციის შემდგომ, მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია ონლაინ კაბინეტის აქტივაცია. ამ შემთხვევაში, კლიენტი, ელ. ფოსტის მისამართზე, წერილობით შეტყობინებას უგზავნის მისოს, რის შემდეგაც, მისო უზრუნველყოფს კლიენტის ონლაინ კაბინეტის განმეორებით აქტივაციას, წინამდებარე წესების და პირობების შესაბამისად.

11. კანონმდებლობა და დავების მოგვარება

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მატერიალური სამართლით.

11.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან პრეტენზია, რომელიც წარმოიშობა მოცემული ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, ან ინტერპრეტაცია, შესრულება, შეწყვეტა ან ძალის დაკარგვა (”დავა”) რომელიც არ გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით, განსახილველად გადაეცემა საქართველოს სასამართლოს.

12. დასკვნითი დებულებები

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, მხარეთა შორის ნებისმიერი კომუნიკაცია წარმოებს ქართულ ენაზე.

მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალის“ ნებისმიერ სერვის ცენტრში, როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით ვებ-გვერდზე http://www.mbc.com.ge/ და ელ.ფოსტაზე complaint@mbc.com.ge პრეტენზიის განხილვასთან დაკავშირებით და შესაბამისი პროცედურების შესახებ ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია სატელეფონო კონტაქტის მეშვეობით ნომერზე 2505002, ან უშუალოდ მისოს შესაბამის სერვის ცენტრში. მომხმარებლისგან მიღებულ პრეტენზიაზე პასუხის გაცემის მაქსიმალური ვადაა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღე. პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია მისოს სერვის ცენტრებში ან/და მისოს სათავო ოფისში.

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა – http://nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე – 032 2 406 406

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალში“ ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ:

სს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „მიკრო ბიზნეს კაპიტალი“ არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.